



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080113635489619

№ 1107

27 / თებერვალი /
2019 წ.

შპს „აზომპითი ნახაზების ცენტრის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ააიპ „თბილისის განვითარების ფონდი“;

ტენდერების ნომრები: SPA180006212 და SPA180007110;

შესყიდვის ობიექტი: 71300000 – საინჟინრო მომსახურებები;

მიმწოდებელი: შპს „აზომპითი ნახაზების ცენტრი“ (ს/ნ: 443863339);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 28 დეკემბერსა და 2019 წლის 10 იანვარს წარმოდგენილ იქნა ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2018 წლის 28 დეკემბრის №01-1420 და №01-1421 წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის №11080 და №11081), ასევე 2019 წლის 10 იანვრის №01-19 და №10-20 დაზუსტებული წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის №217 და №219), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „აზომპითი ნახაზების ცენტრის“ (ს/ნ: 443863339) მიერ SPA180006212 და SPA180007110 ელექტრონული ტენდერების შედეგად დადებული 2018 წლის 8 აგვისტოს №18-08-130 და 2018 წლის 20 სექტემბრის №18-09-135 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების/შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. შპს „აზომპითი ნახაზების ცენტრს“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე shotiko21@yahoo.com, 2019 წლის 18 იანვრის №215 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა №18-09-135 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, მიწოდებული დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს და შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ იგი არ ჩაიბარა. რაც შეეხება, №18-08-130 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის შეთანხმებული დოკუმენტაცია არ მიუწოდებია. ამდენად, ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2018 წლის 27 დეკემბრის №01-1416 წერილით შპს „აზომპითი ნახაზების ცენტრს“ ეცნობა მხარეთა შორის გაფორმებული №18-08-130 და №18-09-135 ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 12 ივლისს ააიპ „თბილისის განვითარების ფონდმა“ გამოაცხადა SPA180006212 ელექტრონული ტენდერი საკადასტრო აზომვების სფეროში მომსახურებების (CPV71354300) შესყიდვის მიზნით. სატენდერო კომისიის 2018 წლის 1 აგვისტოს № 3 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „აზომვითი ნახაზების ცენტრი“ (ს/ნ: 443863339) და იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.2. 2018 წლის 21 აგვისტოს ააიპ „თბილისის განვითარების ფონდმა“ გამოაცხადა SPA180007110 ელექტრონული ტენდერი საკადასტრო აზომვების სფეროში მომსახურებების (CPV71354300) შესყიდვის მიზნით. სატენდერო კომისიის 2018 წლის 13 სექტემბრის № 3 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „აზომვითი ნახაზების ცენტრი“ (ს/ნ: 443863339) და იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2018 წლის 8 აგვისტოს გაფორმდა № 18-08-130 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა გაენია შენობა-ნაგებობების დეტალური შიდა აზომვითი და კვლევითი დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში, 2018 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 33 333 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 31 დეკემბერი.

4.4. მხარეთა შორის 2018 წლის 20 სექტემბერს გაფორმდა № 18-09-135 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა გაენია შენობა-ნაგებობების დეტალური შიდა აზომვითი და კვლევითი დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში, 2018 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 30 000 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 31 დეკემბერი.

4.5. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 11 სექტემბრის № 01-999 წერილით მიეცა გაფრთხილება № 18-08-130 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

4.6. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 29 ნოემბრის № 01-1298 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადაში № 18-09-135 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება არ გაუწევია. ამავე წერილით მიმწოდებელს ეთხოვა წარმოედგინა იმ ეტაპისთვის მომზადებული დოკუმენტაცია.

4.7. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა 2018 წლის 4 დეკემბრის წერილით და აცნობა, რომ № 18-09-135 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოები იყო დიდი მოცულობის. ამდენად, მიმწოდებელმა ითხოვა ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის 10 სამუშაო დღით გაზრდა. მიმწოდებელს შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2018 წლის 6 დეკემბრის № 01-1322 წერილით აცნობა, რომ 2018 წლის 20 დეკემბრამდე ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი ცალმხრივად შეწყვეტდა ხელშეკრულებას.

4.8. საქმეში არსებული 2018 წლის 25 დეკემბრის ინსპექტირების აქტით დგინდება, რომ № 18-09-135 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4.9. ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2018 წლის 27 დეკემბრის № 01-1416 წერილით დგინდება, რომ № 18-08-130 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის შეთანხმებული დოკუმენტაცია არ მიუწოდებია, ხოლო № 18-09-135 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული დოკუმენტაცია, მისი ტექნიკურ პირობებთან შეუსაბამობის გამო, შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ ჩაიბარა. ამავე წერილით მიმწოდებელს ეცნობა მხარეთა შორის გაფორმებული № 18-08-130 და № 18-09-135 ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „აზომვითი ნახაზების ცენტრი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეკვრების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა/არ შეასრულა ორი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა/არ შეასრულა ორი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „აზომვითი ნახაზების ცენტრი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „აზომვითი ნახაზების ცენტრი“ (ს/ნ: 443863339) 2019 წლის 28 თებერვალს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



